

# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№8 (87) 2018


## თსუ კურსდამთავრებულები – ამერიკული უნივერსიტეტების ფიზიკის სადოქტორო პროგრამებზე



ბექა მოდრეკელაძე

***ბექა მოდრეკელაძე: როდესაც საერთაშორისო გამოცდებს ვაბარებდი ფიზიკაში (GRE Physics), რომლის მიხედვითაც PhD (სადოქტორო პროგრამა)-ზე იღებს მსოფლიოს ტოპ 100 უნივერსიტეტი, დამატებით სასწავლი მასალა თითქმის არ მქონია მომზადების პროცესში, თითქმის ყველა შესაბამისი საგანი თსუ-ში გავლილი მქონდა შესაბამის დონეზე.***

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებმა, გუგა ხუნძაკიშვილმა და ბექა მოდრეკელაძემ, Purdue University-სა და Carnegie Mellon University-ის ფიზიკის PhD პროგრამებზე დაფინანსება მოიპოვეს და მომდევნო 4-5 წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობასაც მიიღებენ.

ბექა მოდრეკელაძე ჩვენთან დეტალურად საუბრობს, ფიზიკის როლზე მის ცხოვრებაში. იხსენებს იმ გზას, რაც აშშ-ს მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტში მოხვედრამდე გაიარა. სწავლის პარალელურად, ასტროფიზიკაა და კოსმოლოგიაში შრომებს აქვეყნებს. მისი ბოლო შრომა „შავ ხვრელებს“ შეეხება. როგორც თვითონ ამბობს, თსუ-ში მიღებული ცოდნა, საკმარისი იყო რომ საერთაშორისო გამოცდები უმაღლეს ქულებზე ჩაებარებინა. თვლის, რომ მიზნების მისაღწევად კიდევ ძალიან დიდი გზა აქვს გასავლელი, ამიტომაც იქ ყოფნის გამოყენებას და განვითარების ტემპის კიდევ უფრო გაზრდას აპირებს.

„ბავშვობიდან მიყვარდა აბსტრაქტულ რაღაცებზე ფიქრი, ძირითადად საინტერესო და ლამაზი რაღაცების ძიებაში ვიყავი. თავდაპირველად სი-

***გაგრძელება მე-3 გვ.***

## თსუ II კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. სარემონტო ხარჯები 5,2 მლნ ლარი უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ გამოყო.

სარემონტო სამუშაოები რამდენიმე ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე სველი წერტილები და კომუნიკაციები მოწესრიგდება, მეორე ეტაპზე გათბობის სისტემა, წლის ბოლომდე კორპუსის ფასადის და სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც დასრულდება.

შენობის ინტერიერის სარემონტო სამუშაოებისთვის თანხების მოზიდვა 2019 წლიდან დაიწყება.

სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის განკუთვნილი 5,2 მლნ ლარის ფარგლებში პირველ ეტაპზე განხორციელდა შენობის ტექნიკურ მდგომარეობის შესწავლა, მომზადდა შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, ყველა ნებართვა ქალაქ თბილისის მერიასთან შეთანხმდა.

ამ ეტაპზე დაიწყო უშუალოდ სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, რაც მოიცავს: შენობის ყველა ფანჯრის შეცვლის, ფასადის რეაბილიტაციის, სანკვანძების მოწყობის, წყალმომარაგების და კანალიზაციის შიდა ქსელის მოწესრიგების, სახურავის და გათბობის სრული სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებს.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, ის არ შეფერხდება და ჩვეულებრივ მეორე კორპუსში გაგრძელდება.



## თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ზაფხულის სკოლა – „ადამიანი, საზოგადოება და დედამიწა“

„ძალიან მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა პატივი ზაფხულის სკოლაში მონაწილეობა მიმეღო. ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდილება და მომავლისკენ სწრაფვაა, რადგან ჩემი მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა“ – ეს სიტყვები თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ზაფხულის სკოლის ერთ-ერთ მონაწილეს ეკუთვნის.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ზაფხულის სკოლა „ადამიანი, საზოგადოება და დედამიწა“ უკვე დასრულდა. 2018 წლის ზაფხულის სკოლაში მონაწილეობა 74-მა მოსწავლემ მიიღო. მონაწილეები მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები იყვნენ. სკოლის მონაწილეებმა 10 დღის განმავლობაში მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესახებ თსუ პროფესორების ლექციები მოისმინეს. ჩატარდა შეხვედრები და გაიმართა დისკუსიები მოწვეულ სტუმრებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მწერ-



***გაგრძელება მე-2 გვ.***

## პროექტი, რომელშიც არავინ არის წაგებული – პლანეტა „რიდმორის“ გამარჯვებული ბექა გოგინავა გახდა

***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსის „პლანეტა რიდმორის“ გამარჯვებული ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ბექა გოგინავა გახდა. ის ევროპაში სასწავლო ტრენინგის საგზურით დაჯილდოვდა. პროექტის მეორე და მესამე ადგილის მფლობელები მედეა ფანცულაია და ვასილ ქარსელაძე არიან. გამარჯვებულებს პარტნიორმა გამომცემლობამ „წიგნები ბათუმში“ სპეციალური პრიზები გადასცა.***



ეკონომიკურ თეორიებზე სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის პარალელურად, ბექა ცდილობს, თავისუფალ დროს წიგნები იკითხოს. ამბობს,რომ პროექტის ფარგლებში წაკითხული წიგნებიდან, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება გურამ მაცხონაშვილის წიგნმა „გლდანი(შეუძლებელი რომანი)“ დატოვა. ბექამ პროექტის მიმდინარეობის შესახებ გვიამბო და თან, მომავალ კონკურსანტებს რჩევებიც მისცა.

„ჩემი ერთ-ერთი ჰობი და ინტერესის სფეროა წიგნების კითხვა, როგორც კი გავიგე სტუდენტურ პროექტ „პლანეტა რიდმორის“ შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ გამჭირვებია, რადგან პროექტის მთავარი შინაარსი და მიზანი – წიგნების კითხვა და გააზრებაა. ამ კუთხით კონკურსში მონაწილეობის მიღება შეესაბამებოდა ჩემს ინტერესებს. დამატებითი მოტივაცია იყო გამარჯვებულებისთვის დაწესებული სპეციალური პრიზები.

ჩემთვის ყველა წიგნი საინტერესო იყო, თუმცა გამოვყოფდი სამ წიგნს, რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა: გურამ მაცხონაშვილის „გლდანი[შეუძლებელი რომანი]“, რობერტ მაკამონის „ბიჭის ცხოვრება“ და ლიან მორიარტის „დიდი პატარა ტყუილები“.

***გაგრძელება მე-4 გვ.***

### როცა „ლექციებზე დასწრება დღესასწაულია“



70 წლის გიორგი მიქაძე თსუ სტუდენტია, ის უკვე მესამე წელია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ეუფლება. ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს, სწავლის პარალელურად კი გიდად მუშაობს.

ამბობს, რომ თსუ ლექციებზე დასწრება მისი ყოველდღიურობის განსაკუთრებული ნაწილია. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ტუროპერატორად მუშაობას გეგმავს, თუმცა, ტურიზმის დარგში პედაგოგიურ მოღვაწეობასაც არ გამორიცხავს.

„ჩემთვის თსუ-ში მოსვლა და ლექციებზე დასწრება ნამდვილი დღესასწაულია. პროგრამაზე ჩაბარების მსურველი 100 კანდიდატიდან, მხოლოდ 10 მიიღო უნივერსიტეტმა, ძალიან სასიხარულო და ნამდვილი ზღაპარი იყო სწორედ ამ ათეულში მოხვედრა.

გვ. 2

### უნივერსიტეტელი – გერმანიაში, ბოხუმის უნივერსიტეტში



***„რა ბედნიერებაა შენს სტუდენტს წლების შემდეგ კონფერენციაზე რომ შეხვდები უცხო ქვეყანაში, უკვე გაზრდილს, აკადემიური ხარისხის მქონეს და პატივსაცემს!“ – ასეთი სტატუსი გამოაქვეყნა თავის სოციალური ქსელის გვერდზე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ქეთი ხუციშვილმა.***

გვ. 2

### თსუ კურსდამთავრებული ჩინეთში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გიორგი ჯავრიშვილი 2015 წელს ჩინეთში სრული სამაგისტრო კურსის გასავლელად გაემგზავრა. ამის საშუალება მას სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორის, პეკინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული სამაგისტრო საგრანტო კონკურსში გამარჯვების შემდეგ მიეცა. დღეს გიორგი ერთ-ერთი ინოვაციური პროექტის აქტიური მონაწილეა, რომელსაც აქვს ამბიცია, რომ უახლოეს პერიოდში დიდი მოცულობის მონაცემების შენახვის მხრივ სერიოზულად შეცვლის სურათს მსოფლიოში.

გვ. 3

### თეა ჭარხალაშვილი: „ქართველი სტუდენტები ერთ-ერთი საუკეთესოები იყვნენ იენაში“



გვ. 3

# უნივერსიტეტელი – გერმანიაში, ბოხუმის უნივერსიტეტში

*პირველი გვერდიდან*

ეს სტატუსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს ნინო აივაზიშვილი-გეენეს ეხებოდა, რომელიც ამ დროისათვის დოქტორის ხარისხს ფლობს, გერმანიაში, ბოხუმის უნივერსიტეტში ასწავლის (Ruhr University Bochum) და სოციალური ანთროპოლოგიის (ეთნოლოგიის) დეპარტამენტში მუშაობს.

ყოფილი ლექტორი და მოსწავლე ერთმანეთს ესტონეთში ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე შეხვდნენ. ამჯერად ორივე უკვე მიწვეული სტუმრისა და მომხსენებლის სტატუსით.

ბოხუმის უნივერსიტეტამდე ნინომ დიდი გზა გაიარა. ჯერ თსუ ისტორიის ფაკულტეტზე ეთნოლოგიის მიმართულებით სწავლობდა, შემდეგ – 2003-2005 წლებში თსუ-ში ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრატურაში. ასწავლიდა ისტორიას თბილისში, კერძო საავტორო სკოლაში. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი. გახლდათ თელავისა და ბიბერიხის პარტნიორობის ფარგლებში გაცვლითი პროგრამის მონაწილე; მონაწილეობდა მაქს პლანკის ინსტიტუტის პროექტში. 2002 წ. მიიღო გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის სტიპენდია საზაფხულო სკოლისთვის ვილჰელმსჰაფენში; 2002 წელს მოიპოვა სტუდენტური გრანტი თსუ-ში სამეცნიერო კონფერენციის: „ეთნოლოგია, სოციოლოგია, კულტუროლოგია – ინტერესთა კვეთა და პერსპექტივათა ინტეგრაცია“ ორგანიზებისთვის; 2007-2008 წწ. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის კვლევითი სტიპენდიით იმყოფებოდა მაქს პლანკის ეთნოლოგიის ინსტიტუტში;

2008 წელს გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა და გერდა ჰენკელის ფონდის სტიპენდია მოიპოვა. გერდა ჰენკლის ფონდი ჰუმანიტარული მეცნიერებების განხრით სხვადასხვა კვლევით პროექტებს აფინანსებს, რომელთა შორის სადისერტაციო ნაშრომებიცაა. განსაკუთრებული ფოკუსირება ისტორიულ კვლევებზე ხდება. აქცენტი ძირითადად ისტორიული წყაროების დამუშავებასა და საარქივო მუშაობაზე კეთდება.

იყო ჰალე-ვიტენბერგის მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ჰალეს მაქს პლანკის ინსტიტუტთან ასოცირებით. 2015 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ეთნოლოგიაში, ინგილოებისა და მათი იდენტობის თემაზე, ცნობილი ეთნოლოგის ლალე იალჩინ-ჰეკმანის ხელმძღვანელობით. დისერტაციისთვის ექვსთვიანი საველე სამუშაოებიც აწარმოა საინგილოში.

დღეს უკვე ბოხუმის უნივერსიტეტის ლექტორი ნინო აივაზიშვილი-გეენე დარწმუნებულია, რომ მის ცხოვრებაში სახელმწიფო უნივერსიტეტმა ძალიან დიდი როლი შეასრულა.

„ვფიქრობ, თსუ-მ უდავოდ დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. მიუხედავად რთული პერიოდისა, ძალიან ტკბილად მახსენდება სტუდენტობა და მათ შორის, უახლოესი მეგობრები, დახმარებისთვის მუდამ მზად მყოფი ლექტორები. მათგან განსაკუთრებით ორი ქალბატონი – ქეთევან ხუციშვილი და თინა ღუდუშაური მინდა გამოვყო. რომ არა ამ ორი კეთილშობილი მენტორის გვერდში დგომა, ნამდვილად ვერ მივაღწევდი ჩემს მიზნებს. მინდა კიდევ ერთხელ დავუდასტურო მათ ჩემი მადლიერება.

მიმაჩნია, რომ დღევანდელი სტუდენტობა ბევრად უკეთესადაა ჩართული საერთაშორისო ქსელში, ვიდრე ჩვენ ვიყავით მათ ასაკში. ეს ფაქტობრივად მიუღწეველი ოცნება იყო ჩვენთვის. კერძოდ, კონტაქტები დასავლეთთან, ან აქტუალური ლიტერატურის გაცნობის საშუალებები, რაც დღეისათვის მათთვის არსებობს და რაც ნამდვილად გულწრფელად მახარებს“,- ამბობს იგი. ცნობისათვის, გეენე მისი მეუღლის გვარია. მეუღლე გერმანელი ჰყავს. ერთმანეთი ქალაქ ჰალეში ყოფნისას გაიცნეს. ერთ-ერთი საერთო ნაცნობის იტალიიდან დოქტორიანტის გამოსამშვიდობებელ წვეულებაზე და როგორც თვითონ ამობობს „უკვე რვა წელია ერთმანეთის არსებობა უახარიათ“. მისი მეუღლე სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის კურსდამთავრებულია და ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა. წყვილს ორი ვაჟიც ჰყავს.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ისინი პირველ რიგში, ისევ ოჯახს და სამსახურს უკავშირდება. „მინდა რაც შეიძლება მეტი პოზიტივი მივცე შვილებს, ჩემს ოჯახს და პარალელურად, ყველანაირად გავაგრძელო მუშაობა და კვლევა ეთნოლოგიის განხრით“, – ასეთია ნინოს განწყობა უახლოეს პერიოდთან დაკავშირებით.



# თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ზაფხულის სკოლა – „ადამიანი, საზოგადოება და დედამიწა“

*პირველი გვერდიდან*



*საბა სამუშია*

ლებთან. 10 დღიანი სალექციო კურსის განმავლობაში, ზაფხულის სკოლის მონაწილეებმა საზოგადოებისთვის აქტუალური სხვადასხვა თემა განიხილეს: უნივერსიტეტი და დამოუკიდებლობა; წარმატების გაგება სკოლაში: მოსწავლე – მასწავლებელი – მშობელი; ადამიანი – ევოლუციის პროდუქტი; თანამედროვეობის მხატვრული და მეცნიერული მიღწევები; ადამიანის უფლებები; მოზარდი – ფსიქოლოგიური პრობლემები, დანაშაულის პრევენცია; ერთგვაროვანი და მრავალფეროვანი საზოგადოება – ავტორიტარიზმი და დემოკრატია; დედამიწის გლობალური ეკოლოგიური პრობლემები; ლოკალური ეკოლოგიური გამოწვევები და სხვა.

დავით აბულაშვილი ახმეტის რაიონის სოფელ მატნის პირველი საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა. დავითს თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ბევრ პროექტში აქვს მონაწილეობა მიღებული, როგორც თვითონ ამბობს, ყველა პროექტიდან გარკვეული ცოდნა და გამოცდილება მიიღო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ზაფხულის სკოლის მონაწილე გამხდარიყო და არც შემცდარა, სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებასთან ერთად, საუნივერსიტეტო ცხოვრებას გაეცნო და ბევრი მეგობარიც შეიძინა, რომლებთან კონტაქტსაც დღემდე აგრძელებს. „საკუთარი აზრის თამამად გამოხატვა ვისწავლე. ვინაიდან ლექციები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, საკუთარ აზრს ხშირად ვაფიქსირებდით; გარდა ამისა, მოსმენილი ლექციებით ბევრი რამ გავიგეთ ადამიანის უფლებების, მოზარდების ფსიქოლოგიური პრობლემების და სხვა საინტერესო თემების შესახებ. ზაფხულის სკოლა გვაძლევს საშუალებას თავისუფალი დრო ნაყოფიერად გავატაროთ და ის ცოდნა მივიღოთ, რასაც სკოლა ვერ გვაძლევს“, – ამბობს დავითი.

დავით აბულაშვილისგან განსხვავებით, საბავშვო უნივერსიტეტის პროექტებიდან ზაფხულის სკოლა პირველი იყო მეათე კლასელი საბა სამუშიასთვის. საბამ პროექტის შესახებ ზაფხულის სკოლის ვიდეო ჩანაწერებიდან შეიტყო, დააინტერესა და გადაწყვიტა პროექტის ნაწილი თვითონაც გამხდარიყო. „ზაფხულის სკოლამ შესაძლებლობა მომცა მომხსენებლის ამპლუაში ვყოფილიყავი, რაც განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემთვის. სკოლაში ძალიან ბევრი კარგი მეგობარი შევიძინე. ვფიქრობ, ასეთი სკოლების არსებობა აუცილებელია, რათა ბევრი საინტერესო ინფორმაცია მიიღო, გამოთქვა საკუთარი აზრი და საბოლოოდ, თავად აღმოჩნდე მომხსენებლის როლში. ეს მართლაც ძალიან დიდი შესაძლებლობაა“, – აღნიშნავს საბა.

ზაფხულის სკოლის დასასრულს, სკოლის ყველა მონაწილემ საკუთარი შთაბეჭდილებები, შენიშვნები და სურვილები პროექტის ორგანიზატორების მიერ მომზადებულ კითხვარში გამოხატა. კითხვარი ანონიმური იყო, სკოლის მონაწილეების შეფასებები კი გულწრფელი. მონაწილეების უმეტესობა 10 დღიანი სალექციო კურსით კმყოფილია. მოსწავლეები კითხვარში ძირითად ყურადღებას სალექციო თემების აქტუალურობასა და მომხსენებლების პროფესიონალიზმზე ამახვილებენ. „თითოეულ ლექციას საკუთარი მიზანი ჰქონდა და ეს მიზანი შესრულებულია, რადგანაც მომხსენებლებმა უშუალოდ მოიტანეს ჩვენამდე ის თემები, რაც, ვფიქრობ, ამ ასაკში ყველასთვის პრიორიტეტულია, ყველა ლექციიდან ჩამრჩა გონებაში თითოეული მომხსენებლის მიერ ნათქვამი მნიშვნელოვანი დებულებები“, – წერს ერთ-ერთი მოსწავლე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზაფხულის სკოლის მონაწილეები მიღებული ცოდნის სამომავლოდ გამოყენებას აპირებენ და მიაჩნიათ, რომ გამოცდილება, რომელიც სკოლამ მათ მისცა, ცხოვრებაში აუცილებლად გამოადგებათ. „იმაზე მეტი რამ ვისწავლე, ვიდრე ველოდი. იმის გათვალისწინებით, რომ მიღებული ცოდნის ნაწილი უკვე გამოვიყენე ჩემს მეგობრებთან დებატებში, ვფიქრობ, მომავალშიც ხშირად გამომადგება“, – აღნიშნავს ზაფხულის სკოლის მონაწილე.

დადებით შეფასებებთან ერთად სკოლის მოსწავლეებს შენიშვნებიც აქვთ. უკმაყოფილება კი ძირითადად საორგანიზაციო საკითხებს უკავშირდება. ზოგიერთი მათგანი სიცხემ შეაწუხა, ზოგიერთი კი ლექციების ხანგრძლივობამ. „პირადად ჩემთვის საუკეთესო ორგანიზება არ ყოფილა, რადგან ტემპერატურასთან დაკავშირებით იყო პრობლემა, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. საერთო ჯამში, სხვა კუთხით, 10 დღიანი სკოლა კარგად იყო ორგანიზებული და შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ კომფორტულიც“, – წერს მოსწავლე.



*დავით აბულაშვილი*

რაც შეეხება საზაფხულო სკოლის მონაწილეების სურვილებს, თითქმის ყველა მათგანის სურვილი ერთნაირია: რაც შეიძლება ხშირად ტარდებოდეს მსგავსი პროექტები, სადაც სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ცოდნას გაიღრმავებენ. „ერთადერთი სურვილი მაქვს, ხშირად მივიღო მონაწილეობა, რადგან მეტად აღფრთოვანებული ვარ მიღებული გამოცდილებით“, – წერს ზაფხულის სკოლის მონაწილე.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ზაფხულის სკოლა 2008 წლიდან იმართება. სკოლა მონაწილეებს ყოველ წელს სხვადასხვა, ახალ პროგრამას სთავაზობს. როგორც თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ყველა სხვა პროექტის, ზაფხულის სკოლის მიზანია სკოლის მოსწავლეებში სწავლისადმი, მეცნიერებისადმი ინტერესის გაზრდა, საკუთარი აზრის თამამად გამოხატვის შესაძლებლობის მიცემა და მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება.





# როცა „ლექციებზე დასწრება დღესასწაულია“

*პირველი გვერდიდან*

ტურიზმით ჩემი დაინტერესება, ჯერ კიდევ, რუსეთში ცხოვრების დროს დაიწყო. ამ პროფესიას ვეუფლებოდი ქალაქ ლენინგრადის ტურიზმის აკადემიაში. 90-იან წლებში, როდესაც საქართველოში ჩამოვედი, აქტიურად ვიღებდი სხვადასხვა კურორტის მოწყობისა და გახსნის ორგანიზებაში მონაწილეობას. მათ შორის იყო, 1988 წლის 5 მაისს გუდაურის გახსნა.

მოგვიანებით, ქალაქ თბილისის საკურორტო სამმართველოში დავიწყე მუშაობა, რომელიც წყნეთის, კიკეთის, კოჯორის, მანგლისის აგარაკებსა და ბავშვთა სანატორიუმებს უწევდა კოორდინირებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დავრჩი უმუშევარი, თუმცა მუსიკამ გადამატანინა ის წლები. თბილისში მდებარე ერთ-ერთ ირლანდიურ ბარში ვუკრავდი.

წლების შემდეგ, გადავწყვიტე ჩემს პროფესიას დავბრუნებოდი, რაშიც ჩემი შვილი დამეხმარა და ორივემ ერთდროულად ჩავაბარეთ პროფესიულ კოლეჯ „იკარუსში“, სადაც ვეუფლებოდი რეგიონალური გიდის პროფესიას.

შემდეგ გავიგე, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ პროფესიულ სასწავლო პროგრამას ამატებდა და გადავწყვიტე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის სპეციალობა შემესწავლა. გვაქვს მოცულობითი სასწავლო ლიტერატურა, თან თსუ-ში სწავლის მიმართ განსხვავებული და საინტერესო მიდგომებია, თუმცა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო გამართვა და გაუმჯობესება კარგი იქნებოდა. უნდა აღვნიშნო,რომ ძალიან კარგი კურსელები მყავს და სასიამოვნოა, როგორც მათთან, ისე ლექტორებთან კომუნიკაცია. ჩემთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ისტორია სიახლეა და ამ მხრივ, ორმაგად საინტერესოა აქ და ამ პროგრამაზე სწავლა,“ – ამბობს გიორგი მიქაძე.

# თეა ჭარხალაშვილი: „ქართველი სტუდენტები ერთ-ერთი საუკეთესოები იყვნენ იენაში სხვადასხვა“

*პირველი გვერდიდან*

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი თეა ჭარხალაშვილი იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში გერმანულენოვანი პოლიტიკის მეცნიერების სრულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა და გერმანიაში 2 წელი ისწავლის.

თეამ გასულ წელს თსუ – ერაზმუსის გაცვლითი ინგლისურენოვანი პროგრამის სტიპენდია მიიღო და სასწავლებლად გერმანიაში ერთი სემესტრით გაემგზავრა, თუმცა იენის უნივერსიტეტმა სწავლა გაუხანგრძლივა, რის შესაძლებლობასაც იენისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის არსებული ბილატერალური შეთანხმება იძლეოდა.

ინგლისურ ენაზე სწავლის პარალელურად, მან გერმანული ენის C1 სერტიფიკატი აიღო და გერმანულენოვან პროგრამაზე შეიტანა საბუთები, ძალიან მალე კი ჩარიცხვის წერილი მიიღო.

თეას ინტერესი პოლიტიკისადმი, როგორც თვითონ იხსენებს, სკოლის ასაკიდანვე, ისტორიის გაკვეთილებით დაიწყო. აბიტურიენტობისას აღმოაჩინა, რომ თსუ-ში პოლიტიკის მიმართულება არსებობდა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებების ფაკულტეტზე ჩაბარება გადაწყვიტა.

„დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლებლობა მომცა ჩემი გზა მეპოვნა ცხოვრებაში.

საშუალო განათლება ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის ნომერ პირველ საშუალო სკოლაში მივიღე. განსაკუთრებით მიყვარდა უახლესი ისტორია, შესაბამისად, თავიდანვე ცხადი იყო, რომ ჩემი მომავალი ამ მიმართულებით უნდა განმევითარებინა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ყოველთვის კარგ მოგონებებთანაა დაკავშირებული ჩემთვის. არასდროს დამავიწყდება პირველი აღფრთოვანება, რომელიც პოლიტიკის მეცნი-

მე-4 გვერდზე

# თსუ კურსდამთავრებულები – ამერიკული უნივერსიტეტების ფიზიკის სადოქტორო პროგრამებზე

***პირველი გვერდიდან***

ლამაზე მუსიკაში ვიპოვე, საინტერესოობა კი ჭადრაკში და ბევრ დროს ვუთმობდი ორივეს და ბევრი წარმატებაც მქონდა, თუმცა, როცა წამოვიზარდე და მათემატიკა უკეთ შევისწავლე, აღმოვაჩინე რომ ის ამ ორის, ესთეტიკის და ლოგიკის, გაერთიანება იყო, რითიც ყველაფრისგან გამოირჩეოდა და ამით მაშინვე მოიგო ჩემი გული.

მათემატიკასთან ერთად შემდგომში შევისწავლე ინფორმატიკა და აქაც ბევრი წარმატება მქონდა საერთაშორისო ოლიმპიადებზე, რის გამოც ყველა ელოდა, რომ პროგრამირებაზე ჩავაბარებდი.

თუმცა, როდესაც სკოლას ვამთავრებდი, სხვა ფილოსოფიური კითხვები და პრიორიტეტები გამაჩნდა და მთავარი მიზანი, სწორედ ჩემს კითხვებზე პასუხების მოპოვება იყო. მაინტერესებდა ის, თუ როგორ იყო მოწყობილი სამყარო და რა აზრი ჰქონდა მას, ამისათვის კი ყველაზე ოპტიმალური ინსტრუმენტი ფიზიკაა და, მიუხედავად იმისა, რომ დიდი გამოცდილება არ მქონდა ფიზიკაში მანამდე, ჩემი თავის მჯეროდა, რომ მიზნებისთვის უნდა შემესაბამებინა განვითარება და არა პირიქით, და ამიტომ გადავწყვიტე ფიზიკოსობა.

საქართველოში კი, ყველაზე კარგ არჩევნად ფიზიკისთვის თსუ მესახებოდა, აკადემიური პერსონალით თუ პროგრამით, ამიტომ თსუ-ში ფიზიკის მიმართულებაზე დავიწყე სწავლა.

სწავლის პროცესი ძალიან საინტერესო იყო, ვისაც კომპიუტერული თამაშები უთამაშია ალბათ გამიგებს, თითოეული საგნის სწავლის პროცესიც კი ძალიან საინტერესო იყო, რადგან გზა და გზა ვვითარდებოდი, ახალ უნარ-ჩვევებს ვიძენდი და შემდეგ მათ ვიყენებდი. როცა პროგრესს ვხედავდი, ძალიან სასიამოვნო იყო. მაგრამ პროცესი თამაშებისგან ან რაიმე საინტერესო წიგნისგან იმით განსხვავდებოდა, რომ უბრალოდ არ მთავრდებოდა და არც უბრალოდ ფანტაზიის ნაყოფი იყო, ეს იყო სამყაროს აღქმის გაღრმავება, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელიც რეალურია და რომელზე პასუხები ჯერაც არ არის ცნობილი. ეს განვითარება შესაძლებლობას მომცემდა მქონოდა ამ პასუხების მოპოვების შესაძლებლობა. რაღაც ჩავარდნებიც მქონდა თავიდან, ზოგჯერ ძალიან ცოტა ძილს ვასწრებდი ხოლმე, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ უფრო საინტერესოს ხდიდა ამ პროცესს და ახალ უნარებს მაძებნინებდა, როგორიც დროის სწორ განაწილება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრეფა თუ სხვაა.

ასე ჩავირიცხე Carnegie Mellon University-ში, PhD პროგრამაზე, ეს ამერიკულ უნივერსიტეტებში ფიზიკის მიხედვით ტოპ 20 უნივერსიტეტშია, ხოლო კომპიუტერული მეცნიერებების რეიტინგში – მსოფლიოში მე-3. უნივერსიტეტი ქალაქ პიტსბურგშია (Pittsburgh) პენსილვანიის შტატში. ფიზიკაზე ვისწავლი, მაგ მხრივ არჩევანში შეზღუდული არ ვარ და შემიძლია კონკრეტული მიმართულება უკვე იქ სწავლისას ავირჩიო.

უნივერსიტეტი მეცნიერული კვლევების შესაძლებლობების გამო ავირჩიე, იგი იდეალურად ემთხვევა ჩემს ინტერესებს, პირველივე სემესტრიდან teaching assistant-თან ერთად, შემეძლება სამეცნიერო კვლევებშიც ვიყო ჩართული, იმ მიმართულებით, რომელიც მე დამაინტერესებს. ასევე, სასწავლო პროგრამა ძალიან კომფორტულია ჩემთვის, საინტერესო საგნებით და მათი წამკითხავი მეცნიერებით და ასევე ფორმატით – კურსზე მხოლოდ ათნი ვართ.

ჩარიცხვის გზა ნამდვილად არ ყოფილა მარტივი, ბევრი გამოცდის ჩაბარებასთან ერთად, საჭირო იყო კარგი ქულები უნივერსიტეტში და ასევე გამოცდილება მეცნიერებაში და სტატიები. თსუ-ში ამის შესაძლებლობა მქონდა, რაც ძალიან დამეხმარა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩემი ხელმძღვანელის, ნანა შათაშვილის როლი, რადგან ძალიან დამეხმარა ამ ყველაფერში, სწორი რჩევებით და სწორი განვითარების მიმართულების მოცემით“, – ამბობს ბექა.

„თსუ-ში სწავლის პერიოდი, ვთვლი, რომ ძალიან ნაყოფიერი იყო ჩემთვის და ალბათ ყველაზე დიდი როლიც ითამაშა ჩემს წარმატებებში. უნდა აღინიშნოს რომ ფიზიკის პროგრამა შედგენილი იყო ძალიან თანამედროვედ და ემთხვეოდა ბევრი მაღალი დონის უნივერსიტეტის სტანდარტებს. მაგალითისთვის, როდესაც საერთაშორისო გამოცდებს ვაბარებდი ფიზიკაში (GRE Physics) რომლის მიხედვითაც PhD (სადოქტორო პროგრამა)-ზე იღებს მსოფლიოს ტოპ 100 უნივერსიტეტი, დამატებით სასწავლი მასალა თითქმის არ მქონია მომზადების პროცესში, თითქმის ყველა შესაბამისი საგანი თსუ-ში გავლილი მქონდა შესაბამის დონეზე.

ასევე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თსუ-ში მქონდა შესაძლებლობა, რომ ჩართული ვყოფილიყავი აქტიურ მეცნიერებაში, ჯერ კიდევ, ბაკალავრის დონიდანვე. ვმუშაობდი ქალბატონ ნანა შათაშვილთან და ბატონ ალექსანდრე თევზაძესთან, ბატონ მერაბ გოგბერაშვილთან. მათთან მქონდა შესაძლებლობა, რომ ჩემი ინტერესები გამეფართოვებინა და მათ მიხედვით განვვითარებულიყავი. ამ პროცესის დროს, ბევრი ძალიან ახალი და საინტერესო შედეგი მივიღეთ და გავაგზავნეთ სტატიებიც. ესეც დიდ როლს თამაშობს განვითარებაში, როცა უშუალოდ მეცნიერებაში ხარ ჩართული და იცი – რას, რისთვის სწავლობ და უკვე უფრო დიდი სურათის დანახვას იწყებ.

ნანა შათაშვილთან და ალექსანდრე თევზაძესთან მუშაობისას, ასტროფიზიკაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ობიექტების, დისკი-ჯეტის ფორმირება ავხსენით და ჩვენი მოდელი დაკვირვებად ობიექტებთანაც ძალიან კარგ თანხვედრაში იყო.

ჩემი ბოლო ნაშრომი შავ ხვრელებს ეხებოდა. ამ ნაშრომზე ბატონ მერაბ გოგბერაშვილთან ერთად ვმუშაობდი და ნაჩვენები იყო, რომ კვანტური ნაწილაკი ვერ კვეთს მბრუნავი შავი ხვრელის ჰორიზონტს, რაც ეწინააღმდეგებოდა მანამდე დამკვიდრებულ მოსაზრებას ფიზიკის საზოგადოებაში და ასევე ხსნიდა ინფორმაციულ პარადოქსს, რაზეც ძალიან ბევრი მეცნიერი მუშაობდა აქამდე, მათ შორის სტივენ ჰოკინგიც.

ამიტომაც, მუშაობის გაგრძელებას თავდაპირველად ასტროფიზიკასა და კოსმოლოგიაში ვაპირებ, ვფიქრობ რომ 5 წელიწადში, PhD უკვე აღებული მექნება. ზოგადად კი ვფიქრობ, რომ დღეისთვის მეცნიერებაში ზედმეტად ბევრი დარგია, როცა ამ დროს სამყარო ერთიანია და წესით გაცილებით მარტივი და ელეგანტური უნდა იყოს. ამიტომაც, ასევე მინდა, რომ სამყაროს ფუნდამენტურ და კონცეპტუალურ თვისებებს ჩავწვდე, რომ ერთიანი სურათის დანახვას მივუახლოვდეთ.

აბიტურიენტებს, სტუდენტებს ვეტყვი, რომ ინტერესების მიხედვით უნდა განვითარდნენ და არა ინტერესები შეუსაბამონ შესაძლებლობებს, რადგანაც შესაძლებლობები არ არის ფიქსირებული და მონდომების და საკუთარი თავის რწმენის შემთხვევაში, მათი გაზრდაც შეიძლება.

ამის შემდეგ კი, როცა საყვარელ საქმეს აკეთებ, რისიც გჯერა და რისგანაც სიამოვნებას იღებ, ყველაფერია შესაძლებელი და წარმატებაც დიდი ალბათობით მოვა. სხვა თუ არაფერი, ეს ისეთი რამეა, თითქოს ფულს იღებდე საყვარელი მუსიკის მოსმენაში ან ლამაზი პეიზაჟის ყურებისას. მოკლედ რომ ვთქვათ, როცა ისეთ რამეს აკეთებ რასაც ანაზღაურების არ არსებობის შემთხვევაში (თუმცა წარმატების შემთხვევაში დღევანდელ რეალობაში შესაძლებლობებიც ძალიან ბევრია და კარგი პირობებიც) ისედაც გააკეთებდი, ანუ როცა რაღაც აკეთებ შენთვის და არა სხვისთვის, აუცილებლად განვითარდები და წარმატებული იქნები“, – ამბობს ბექა.



*გუგა ხუნძაკიშვილი*

***გუგა ხუნძაკიშვილის*** თქმით, მიზნისკენ მიმავალ გზაზე მონდომება და შრომისმოყვარეობა ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი თვისებებია.

„ჩავირიცხე აშშ-ს Purdue University-ში, რომელიც მდებარეობს ერთ-ერთ შტატ ინდიანაში, ქალაქ West Lafayette-ში. Purdue University-ს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს, როგორც ამერიკულ, ისე საერთაშორისო რეიტინგებში. სწავლას ვაგრძელებ ფიზიკის მიმართულებით, რა თქმა უნდა, რადგან ჩემში დიდ ინტერესს იწვევს ის საკითხები, რომელთან შეხებაც მქონია და მექნება მომავალში.

ამ უნივერსიტეტში ფიზიკის PhD პროგრამაზე სტუდენტები სწავლობენ და თავადვე ასწავლიან კიდეც, ამასთანავე, ჩართულები არიან კვლევით საქმიანობაში (თავიანთ ხელმძღვანელთან ერთად). მომდევნო 5 წლის განმავლობაში მეც მსგავს პროცედურებში ვიქნები ჩართული. ვისწავლი, ვასწავლი და ვიქნები კვლევითი საქმიანობის მონაწილე ჩემთვის საინტერესო მიმართულებით. უნივერსტეტის არჩევის ბევრი კრიტერიუმი არსებობს, მათ შორისაა რეიტინგები, პროფესორები, რომლებიც იქ ასწავლიან. ასევე ადგილმდებარეობა.

ჩარიცხვისთვის გარკვეული პროცედურებია საჭირო, როგორიცაა ინგლისურის გამოცდის ჩაბარება (TOEFL an IELTS) ასევე სტანდარტიზირებული GRE-ის ტესტები(შენი სპეციალობა და ჯენერალის ტესტი). თუმცა, ამის გარდა, გადავაგზავნე CV, სამოტივაციო წერილი და რეკომენდაციები. ამ ყველაფრის უნივერსტეტისთვის გაგზავნის შემდეგ, მოდის ჩარიცხვის ან უარყოფის წერილი“, – ამბობს გუგა.

მისი მიზნისკენ მიმავალი გზა ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში დაიწყო, სწორედ იქ გადაწყვიტა, რომ მომავალში ფიზიკის მიმართულებაზე სურდა სწავლა და თსუ-ში ჩააბარა.

„ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა მათემატიკური სკოლა დავამთავრე. ადრეული ასაკიდან დაინტერესებული ვიყავი ფიზიკა-მათემატიკით (ფიზიკით, ცხადია, უფრო მეტად). სკოლის პერიოდში მონაწილეობას ვიღებდი როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ფიზიკის ოლიმპიადებში და როცა უნივერსიტეტში ჩაბარების დრო დადგა, ბევრი არ მიფიქრია და ფიზიკის სწავლა გავაგრძელე.

გამოცდილი ფიზიკოსები და ჩემი მეგობრები, რომლებიც უკვე სწავლობდნენ თსუ-ში, ძალიან აქებდნენ უნივერსიტეტს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარება. სწავლა გავაგრძელე ფიზიკის მიმართულებაზე და ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა, რადგან ძალიან კარგი ლექტორები და ჯგუფელები შემხვდნენ. თსუ-ში სწავლის პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერი იყო, არამარტო ცოდნის მიღების თვალსაზრისით, არამედ კარგი ადამიანების გაცნობის და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბების კუთხითაც. ვთვლი, რომ შესანიშნავი 4 წელი გავატარე.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ თსუ-ში მიღებული ცოდნა უკვე დამეხმარა იმაში, რომ Purdue University-ს სტუდენტი გავმხდარიყავი და გამომადგება მომავალშიც, რადგან ბაკალავრიატში სწავლით ფიზიკის სტუდენტი იქმნის საფუძველს, რომელიც, ცხადია, სჭირდება ფიზიკის ნებისმიერი მიმართულებით სწავლის გაგრძელებისას. ასე რომ მიმაჩნია, რომ თსუ-მ მომცა ცოდნა, რომელიც უკვე გამომადგა და აუცილებლად გამომადგება მომავალშიც.

ვფიქრობ, რომ სანამ წარმატებულ ადამიანად მომიხსენიებენ, იქამდე კიდევ დიდი გზაა. მიზნისკენ მიმავალ გზაზე წარმატებისთვის, ჩემი გამოცდილებით, შემიძლია ვთქვა, რომ მონდომება და შრომისმოყვარეობა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია. დასასრულს კი, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს პროფესორს, რადგან ლომის წილი მიუძღვით ჩემი დღევანდელობის შექმნაში“, – ამბობს გუგა.

# იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი თსუ-ში



ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სერჯო მატარელა ეწვია. უნივერსიტეტში პრეზიდენტმა გამოფენა „საქართველო-იტალია: მეგობრობის ისტორია“ დაათვალიერა და სხვადასხვა სფეროში საქართველო-იტალიის ურთიერთობებსა და თანამშრომლობაზე ისაუბრა. შეხვედრას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლი, საქართველოს და იტალიის მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის, აკადემიური წრეების და ქართული საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ჩემთვის დიდი პატივია გამოსვლა კავკასიაში ყველაზე ძველ უნივერსიტეტში, მისი დაარსების მეასე წლისთავზე, რომელიც ასევე ემთხვევა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მეასე წლისთავს. გილოცავთ საუკეთესო სურვილებით ამ უმნიშვნელოვანეს ორმაგ იუბილეს!

ამ უნივერსიტეტმა აღზარდა მრავალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ლიდერი ამ ქვეყანაში, რომლის იდენტობის სიმბოლოცაა, მაგრამ, ამავე დროს, მისი გახსნილობის სიმბოლოც. უნივერსიტეტს ფესვები აქვს გადგმული დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს იმ ღირებულებებში, რომლებიც ევროპული ცივილიზაციისთვისაა დამახასიათებელი და რომელზე დაყრდნობითაც შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია.

ეს იყო პროგრესული დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა ადამიანის უფლებათა მთელ წყებას, საყოველთაო არჩევნებში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანი მონაწილეობით დაწყებული, სიკვდილით დასჯის გაუქმებით დამთავრებული. ეს იყო ქარტია, რომელიც იცავდა გამოხატვისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, სოციალურ და უმცირესობათა უფლებებს.

1921 წლის კონსტიტუციას დიდ ხანს არ უმოქმედია. მაგრამ იგი, როგორც იდეალური საძირკველი, დღესაც შთაგონების წყაროა, იმის დასტურად, რომ თბილისის ევროპული არჩევანი ახირება არ არის, არამედ ქართველი ხალხის გულში და მის ისტორიაში ფესვგადგმული მისწრაფებაა.

იტალიამ აღიარა საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ელჩი წარმოგზავნა. იგივე მოხდა 1992 წელს, როდესაც ქვეყანამ კვლავ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

დღეს იტალია საქართველოს გვერდითაა, მხარს უჭერს მის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, მხარს უჭერს ქვეყანაში დემოკრატიისა და ეკონომიკის ზრდას“. – განაცხადა იტალიის პრეზიდენტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე. მან ისაუბრა ქართულ-იტალიური მეგობრობის და თანამშრომლობის ისტორიაზე, რომელიც საუკუნეების წინ დაიწყო და დღესაც მრავალმხრივ ვითარდება. პრეზიდენტის განცხადებით, თანამშრომლობა აქტიურია და კიდევ უფრო გაფართოვდება განათლების და ინოვაციების სფეროში. როგორც სერჯო მატარელამ აღნიშნა, შემოდგომიდან იტალიური მხარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ახალ პროექტებს წარმოადგენს.

„შემოდგომიდან, ამ უნივერსიტეტის მონაწილეობით, შემოგთავაზებთ ახალ ინიციატივებს უახლეს ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, რაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და ხელშეწყობას ისახავს მიზნად. სწორედ 2018 წელი არის კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელი“,-განაცხადა იტალიის პრეზიდენტმა.

ახალ პროექტებსა და მომავალ თანამშრომლობაზე გააკეთა აქცენტი თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. მისი თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იტალიის 20-ზე მეტ უნივერსიტეტთან აქვს გაცვლითი პროგრამები, ასევე ერთობლივი, ორმაგი ხარისხის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, და სამომავლოდ, ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება. „ჩვენ ვაპირებთ გაცვლითი პროგრამების რაოდენობა და ხარისხი გავზარდოთ. დღეს შევთანხმდით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იტალიის სამეცნიერო საბჭო და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ერთობლივად ვიმუშავებთ საქართველოსთვის სპეციალური პროექტის შექმნაზე, რომელიც

***მე-4 გვ.***

# თსუ კურსდამთავრებული ჩინეთში

***პირველი გვერდიდან***

თუმცა, თავიდან რომ მივყვეთ, ყველაფერი ასე დაიწყო: პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალობით სასწავლებლად წასულს, გიორგის პირველ წელს სხვადასხვა მიმართულების ლექციები ჰქონდა. მეორე წელი მთლიანად სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას დაუთმო. ნაშრომის თემად BlockChain ტექნოლოგია შეარჩია.

„ჩინეთში სწავლის მიუხედავად, აქ დარჩენას არ ვგეგმავდი. თუმცა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დღის მოახლოებასთან ერთად, სამომავლო გეგმები გადავაფასე და გადავწყვიტე ჩინეთში კარიერის გაგრძელება. რა თქმა უნდა, ჩემი პირველი სამიზნე „ბლოკჩეინ კომპანია“ იყო. შედეგად რამდენიმე ვარიანტიდან ამოვარჩიე ქალაქ შენჟენში არსებული სტარტაპ კომპანია 1worldblockchain, სადაც 8 თვე ვიმუშავე. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალურად ვიზრდებოდი და ბევრ რამეს ვსწავლობდი, კომპანიის განვითარების პერსპექტივას ვერ ვხედავდი და სამსახურის გამოცვლა გადავწყვიტე. ისევ რამდენიმე ვარიანტის (მათ შორის იყო კომპანიები ევროპიდან და კორეიდან) განხილვის შემდეგ, არჩევანი იგივე ქალაქში არსებულ კომპანია CyberVein-ზე შევაჩერე. საბოლოოდ გადაწყვეტილებაზე დიდი ზეგავლენა პროექტის იდეამ და პოტენციალმა იქონია, ასევე იმან, თუ რა როლს შევასრულებდი კომპანიაში. მართალი გითხრათ, სხვა ქალაქში ასე სწრაფად გადასვლაც არ მინდოდა, რადგან აქ ძალიან თბილა. ჩემს როლს რაც შეეხება, აქამდე სხვა სამსახურებში უმეტესად პროგრამირება-დეველოპმენტის განხრით ვმუშაობდი. ახლა მევალება მარკეტინგი/პიარისა და დეველოპმენტის გუნდებს შორის კომუნიკაციის დამყარება, კვლევა, უცხოურ პარტნიორებთან ურთიერთობა და კონფერენციებზე კომპანიის წარდგენა. ჩემი პოზიციაა: პროექტის ტექნიკური ანალიტიკოსი“.

კომპანია CyberVein-ს რამდენიმე დამფუძნებელი ჰყავს. იგი შარშან ოქტომბერში დაარსდა და კერძო ინვესტორების თანხებით დაფინანსდა. შესაბამისად ახლა იდეის განხორციელებაზე ვმუშაობთ.

CyberVein-ში პროექტი მიზნად ისახავს „ბლოქჩეინ ტექნოლოგიის“ საშუალებით ავაგოთ დეცენტრალიზებული სისტემა, რომლის საშუალებით ქსელის



მონაწილეებს საშუალება ექნებათ დიდი მონაცემები გააზიარონ და ამით ფინანსური სარგებელი მიიღონ, ანუ მონაცემების მონეტარიზაცია მოახდინონ. ამით იმ მონაცემებს/ინფორმაციას, რომელიც ასე ვთქვათ მიმალულია, ეხსნება სხვა შესაძლებლობები და ღირებულება (არ ვგულისხმობ ამ შემთხვევაში ფინანსურ ღირებულებას“, – მოკლედ ასე განმარტავს პროექტის მიზანს გიორგი.

„უკვე მესამე წელია რაც აქ ვარ და, პროფესიულის გარდა, უზარმაზარი პიროვნული გამოცდილება მივიღე. ბევრი დაბრკოლება/პრობლემის გადალახვა მომიწია ამ ხნის განმავლობაში. პრობლემები არა ყოველდღიური ცხოვრებიდან, არამედ როდესაც ურთიერთობა გიწევს ჩინეთის მთავრობის სტრუქტურებთან და ბანკებთან. ბიუროკრატიული მიდგომები აქვთ და მარტივი რამის გაკეთება მთავრდება 1500 დოკუმენტის წარდგენა/ხელმოწერით“, – ამბობს ის.

გიორგის კონკრეტული სამომავლო გეგმები არ აქვს. ამბობს, რომ ჩინეთში დიდი ხნით არ სურს დარჩენა. უნდა ამ პროექტს, რომელშიც დღესაა ჩართული, ბოლომდე მიჰყვეს და ჩინურ ენაშიც მოძლიერდეს. შემდეგ სამშობლოს დაუბრუნდეს ან ევროპაში გააგრძელოს კარიერა და რაიმე ისეთი პროდუქტი/სერვისი, შექმნას, რომელიც როგორც მის ქვეყანას გამოადგება, ასევე გლობალურადაც მოიპოვებს წარმატებას.

ინდუსტრიასთან, განვითარებასთან და ზუსტ მეცნიერებებთან კულტურული მემკვიდრეობის კავშირს მიეძღვნება. ეს იქნება ინოვაციური ხედვა და აღქმა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისა, რომელიც ძალიან განვითარებულია იტალიაში და ჩვენთვის ნამდვილად საშურია ის გამოცდილება, რომელიც მათ გააჩნიათ,“ – აღნიშნა თსუ რექტორმა.

იტალიის პრეზიდენტი სერჯო მატარელა საქართველო-იტალიის ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა.

იტალიის პრეზიდენტი სერჯო მატარელა საქართველოს 16 ივლისს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვია. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან, პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესთან, ქ. თბილისის მერთან და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან.

### საზაფხულო სკოლა: „მიგრაციის მართვა – ინტერდისციპლინური და რეგიონთაშორისი მიდგომები“



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზაფხულო სკოლა: "მიგრაციის მართვა – ინტერდისციპლინური და რეგიონთაშორისი მიდგომები“ ოფიციალურად გაიხსნა. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას იღებს 60 პროფესორი და სტუდენტი ავსტრიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, ავღანეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოდან.



### ISET-ის კურსდამთავრებულთა გამოშვება 2018

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) 2018 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომების გადაცემის ცერემონია გაიმართა. კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულება NBA-ის ორგზის ჩემპიონმა ზაზა ფაჩულიამ მიულოცა, საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და წარმატების მიღწევის გზებზე ისაუბრა. „დიდი პატივია კურსდამთავრებულთათვის ასეთ მნიშვნელოვან დღეს რომ მომიწვიეს და მათთან ერთად ვიზიარებ ამ წარმატებას“, – განაცხადა ზაზა ფაჩულიამ.

„ISET არის ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკის სკოლა არამარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში. დარწმუნებული ვარ ყველა იქნება დასაქმებული ეკონომიკის თუ სხვა სექტორში. ძალიან მაღალკვალიფიციური ახალგაზრდები არიან და ვუსურვებ მათ წარმატებას“, – აღნიშნა თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის ალექსანდრე თევზაძის თქმით, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში ხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც წარჩინებული სტუდენტები სწავლობენ. ალექსანდრე თევზაძემ წარმატებები უსურვა კურსდამთავრებულებს და აღნიშნა, რომ „დღეს მათთვის მნიშვნელოვანი ეტაპია ცხოვრებაში, როდესაც სწავლიდან კარიერაში გადადიან.“

წელს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 39 სტუდენტს საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და იაპონიიდან მიენიჭა მაგისტრის ხარისხი. 10 წლის განმავლობაში, ISET-მა აღზარდა ეკონომისტების არაერთი თაობა. სკოლის 300-მდე კურსდამთავრებულის მიერ მეცნიერებაში, საჯარო თუ კერძო სექტორში მიღწეულმა კარიერულმა წარმატებებმა კვლევა პოლიტიკასთან დააკავშირა, ქართველ საზოგადოებას კი მისცა ინფორმაცია და ცოდნა ეკონომიკაზე.



### თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და საპარტნიორო ფონდს შორის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საპარტნიორო ფონდის შვილობილ კომპანიებში საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ პრაქტიკას გაივლიან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საპარტნიორო ფონდს შორის მემორანდუმს ხელი თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ მოაწერეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საპარტნიორო ფონდს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის მიზანია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების პროფესიული უნარების განვითარება. საწყის ეტაპზე თსუ სტუდენტებისთვის საპარტნიორო ფონდის შვილობილ კომპანიებში 35 ადგილი იქნება გამოყოფილი.



### ოქსფორდის იესოს სახელობის კოლეჯის ქოროს კონცერტი თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოქსფორდის უნივერსიტეტის იესოს სახელობის კოლეჯის ქოროს კონცერტი გაიმართა. ქოროს წევრები ოქსფორდის წარმატებული აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები არიან.

კონცერტზე შესრულდა იგორ სტარვინსკის, სერგეი რახმანინოვის, ანტონ ბრუკნერის, პეტრე ჩაიკოვსკის, თომას თალის, ორლანდო გიბონსის, ჯონ ბენეტის და სხვათა ნაწარმობები.

„ჩვენ ყოველწლიურად მივემგზავრებით მუსიკალური ტურით სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში ჩამოსვლა ცნობილმა არქეოლოგმა მაიკლ ვიკერსმა შემოგვთავაზა. საქართველოში ნამდვილად კარგი დრო გავატარეთ, აღმოვაჩინეთ ძალიან ბევრი საინტერესო რამ, რაც საქართველოს და მის კულტურას უკავშირდება“, – განაცხადა ქოროს კაპელანმა მეგან დაფინმა.

კონცერტის ერთ-ერთი ორგანიზატორია ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ბრიტანელი არქეოლოგი მაიკლ ვიკერსი, რომელსაც თსუ არქეოლოგიის მიმართულებასთან დიდი ხნის სამეცნიერო თანამშრომლობა აქვს. „დაახლოებით 25 წელია რაც ოქსფორდის უნივერსიტეტში უფროსი მკვლევარი ვარ. იესოს კოლეჯის ქორო ყოველ ზაფხულს მსოფლიო ტურნეს ატარებს. ვიფიქრე, რატომ არ უნდა ჩამოსულიყვნენ საქართველოში? მიხარია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათ არაჩვეულებრივი კონცერტი ჩაატარეს“, – განაცხადა ოქსფორდის უნივერსიტეტს პროფესორმა მაიკლ ვიკერსმა.

ბოლო რვა წლის განმავლობაში ოქსფორდის იესოს კოლეჯის საეკლესიო გუნდმა წარმოდგენები გამართა მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა ეკლესიებში, მათ შორის ფლორენციაში სანტა კროჩეს ბაზილიკის და ბრატისლავაში წმინდა მარტინის კათედრალური ტაძრის ჩათვლით. გარდა ამისა, სასულიერო და საერო მუსიკის ნიმუშები ოქსფორდის გუნდმა წარმოადგინა ასევე კრაკოვში, ლისაბონში, კიოლნში, ბონში, ვენაში, სიენაში, ჰონკონგში, შანხაიში და ა.შ. გუნდი ყოველ კვირას იესოს კოლეჯის ისტორიულ სამლოცველოში მღერის.

აღსანიშნავია, რომ გუნდი სპეციალიზირებულია უელსურ მუსიკაზე. იესოს კოლეჯი დედოფალ ელისაბედის მიერ 1571 წელს დაარსდა. საქართველოს ტურნეს ფარგლებში ბათუმის და ქუთაისის შემდეგ, გუნდმა კონცერტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა.

## პროექტი, რომელშიც არავინ არის წაგებული – პლანეტა „რიდმორის“ გამარჯვებული ბექა გოგინავა გახდა

პირველი გვერდიდან

ვფიქრობ, ქართველმა მკითხველმა უფრო მეტი უნდა გაიგოს თანამედროვე ქართველი მწერლების შესახებ, გურამ მაცხონაშვილის წიგნში საინტერესოდაა ასახული ჩვენი საზოგადოების სოციალური პრობლემები.წიგნი „დიდი პატარა ტყუილები“ ეხება ძალადობას, ინტრიგებს, სკანდალებს, ტყუილებს რომელიც თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ეს პრობლემები მწერალს პერსონაჟების დახმარებით საინტერესოდ მოაქვს მკითხველთან. რ. მაკამონის „ბიჭის ცხოვრება“ ეხება ერთი ბიჭის ლამაზ თავგადასავლს. „კორის“ ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე, რაც მკითხველს უმძაფრებს ინტერესს.

ჩემთვის ყველაზე რთული და დასამახსოვრებელი ტესტი იყო ფინალური ეტაპის, რომელიც მოიცავდა შედარებით სქელტანიანი წიგნიდან მასალას და ასევე, „ჰიბრიდული“ ტესტი, რომელიც გულისხმობს ყველა განვილილი წიგნებიდან კითხვებს. რთული იყო იმ მხრივ, რომ საკმარისი არ იყო მხოლოდ წაკითხვა, საჭირო იყო წიგნის დეტალურად დამუშავება, გააზრება, საკუთარი ხედვის ჩამოყალიბება, რაც წიგნის ერთხელ წაკითხვით არ მიიღწეოდა.

ყველაზე ნაკლებად გამიჭირდა ენჯი თომასის „ღვარძლი, რომელსაც თესავ“. ალბათ იმიტომ, რომ ახალგაზრდა მწერლის დაწერილია, წიგნი თინეიჯერულ ასაკზეა გათვლილი და მარტივად არის აღწერილი სიუჟეტი.

პროექტის მიმდინარეობა ძალიან საინტერესო და აზარტული გამოდგა. კონკურსში მონაწილე თითოეულ სტუდენტს ევალებოდა 10 წიგნის დამუშავება. კონკურსი შედგებოდა ეტაპებისაგან, თითოეული ეტაპიდან ვლინდებოდა გამარჯვებული, შიგადაშიგ იყო საინტერესო ონლაინ ვიქტორინები. შედგენილი ტესტები იყო არასტანდარტული, შეიცავდა თავსატეხებს, კროსვორდებს, რაც სახალისოს და საინტერესოს ხდიდა მასზე მუშაობას. ფინალურ ეტაპზე რჩებოდა კონსკურსის 10 მონაწილე და თითოეულ მონაწილეს ჰქონდა შანსი გამხდარიყო პროექტის გამარჯვებული.

გულწრფელად, რომ გითხრათ, გამარჯვებას არ ველოდი ეს ჩემთვის მოულოდნელი სიურპრიზი იყო, რადგან თითოეული მონაწილე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დავალებას და შესაბამისად, კონკურენციაც მაღალი იყო.

მოგებული პრიზით ძალიან კმაყოფილი და გახარებული ვარ, მეძლევა შესაძლებლობა თავად ავირჩიო ევროპის ქვეყანა, სადაც მომიწევს ტრენინგის გავლა. ჩემს მიერ არჩეულ თემაზე. ამით შემიძლია ავიმაღლო ცოდნა და მოვინახულო ევროპის ერთ-ერთი ქვეყანა, რაც სტუდენტისთვის დიდი მიღწევა და გამოცდილებაა. ორიოდე სიტყვით, მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეს ამ პროექტის ორგანიზებისთვის და პარტნიორს, გამომცემლობას „წიგნები ბათუმში“.

მინდა აღვნიშნო ასევე, რომ პროექტში არც ერთი მონაწილე არ არის წაგებული. თუნდაც ერთი წიგნის წაკითხვა გაძლევს ახალ ცოდნა, ახალ ხედვას, მნიშვნელოვან ინფორმაციას, ყოველი წიგნიდან უფრო და უფრო მეტს სწავლობ. აქედან გამომდინარე, სტუდენტებს ვურჩევდი დაინტერესდნენ ამ პროექტით, მიიღონ მონაწილეობა, რადგან იგი მრავალმნიშვნელოვანი და განსხვავებულია იმით, რომ გეხმარება და გასწავლის სირთულეების გადალახვას, კონკურენციის პირობებში მუშაობას, საკუთარი თავის გამოვლენას. გამარჯვება მიიღწევა შრომის შედეგად. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს „შრომა“ ხდება საინტერესო და სასიამოვნო, რომელიც დაფუძნებულია წიგნების კითხვაზე.

ამჟამად, ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, IV კურსზე. მე ვფიქრობ, ეკონომიკა ძალიან საინტერესო, საჭირო, მაღალრეიტინგული და მოთხოვნადი სფეროა. ეს იყო მომავალზე გათვლილი არჩევანი, რომელიც შეესაბამებოდა ჩემს უნარებს და ინტერესებს. ჩემი არჩევანით კმაყოფილი ვარ, მოლოდინი გამართლდა და ინტერესით ვეუფლები არჩეულ პროფესიას. ეკონომიკა ფართო სფეროა და ვფიქ-



რობს მის სრულყოფილად შესასწავლად 4 წელი არაა საკმარისი, ამიტომ სამომავლოდ მსურს ცოდნის გაღრმავება“, – ამბობს ბექა.

პროექტის ათივე ფინალისტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და გამომცემლობამ „წიგნები ბათუმში“ სამახსოვრო პრიზები გადასცეს.

შემეცნებითი პროექტი უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისათვის აპრილში დაიწყო და სამი თვის განმავლობაში ტარდებოდა. კონკურსანტები ყოველ კვირას პროექტისათვის შერჩეულ წიგნებს კითხულობდნენ და შემდეგ მათთვის მომზადებულ ტესტებს წერდნენ. საერთო რეიტინგში ყველაზე მაღალი ქულების მქონე 10 კონკურსანტი ერთმანეთს ფინალში შეხვდა.

პროექტის თითოეულ ეტაპზე გამოვლინდა ტურის ლიდერი, რომლებიც სამახსოვრო საჩუქრებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ. კონკურსის ფარგლებში ასევე ჩატარდა 8 ონლაინ ვიქტორინა, რომლის გამარჯვებულებიც საერთო რეიტინგში დამატებით 2 ქულას იღებდნენ.

პროექტის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკუთვნით და მას უნივერსიტეტი და გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ ერთობლივად მესამე წელია ახორციელებს. პროექტის მიზანია, ახალგაზრდების წიგნიერების ხელშეწყობა და კონკურსის ფორმით სტუდენტებისთვის მეტი მხატვრული ლიტერატურის შეთავაზება.

## თეა ჭარხალაშვილი: „ქართველი სტუდენტები ერთ-ერთი საუკეთესოები იყვნენ იენაში“

პირველი გვერდიდან

ერების შესავალის პირველი ლექციიდან მივიღე. მიუხედავად ბევრი სირთულისა და პრობლემისა, ეს აღფრთოვანება ბოლომდე გამყვა, სხვაგვარად, ალბათ, შეუძლებელიც იყო. რაც ყველაზე მთავარია, ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს ის ადგილი იყო, სადაც ყოფნა მინდოდა და, ამასთანავე, სიამოვნებასაც მანიჭებდა. ასევე მინდა აღვნიშნო, ის წარმატებული და უკვე პროფესიულად შემდგარი სტუდენტები, რომლებთან კომუნიკაციის და მეგობრობის შესაძლებლობა მომეცა და დღემდე ვინარჩუნებ მათთან კავშირს. მათთან ერთად სასწავლო გარემო, უფრო საინტერესო და მრავალმხრივი იყო. ბოლოს, შეუძლებელია არ გავიხსენო ჩვენი პროფესორები, რომლებმაც ასევე დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენს პროფესიულ ჩამოყალიბებაში, მათ გარეშე ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა“, – ამბობს თეა.

ბაკალავრიატის საფეხურის დასრულების შემდეგ, სწავლა ისევ თსუ-ში პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე განაგრძო.

„პირველივე სემესტრშივე გაჩნდა ძალიან ბევრი შესაძლებლობა ევროპის უნივერსიტეტებში გაცვლითი სემესტრით წასვლისათვის. ვფიქრობ, ერაზმუსი ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობაა სტუდენტებისათვის, ახალი გამოცდილებისა და ცოდნის მისაღებად, შესაბამისად, ჩემი დიდი სურვილი იყო, ამ პროგრამის მონაწილე გავმხდარიყავი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წასვლა ერაზმუსის პროგრამით საკმაოდ რთულია, რადგან კონკურენცია სტუდენტებს შორის სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით მაღალია. ეს მივიღე, როგორც ახალი გამოწვევა და სტიპენდიისათვის საჭირო საბუთების შეგროვებაც დავიწყე. არ დაგიმალავთ, რამდენიმე გასაუბრებიდან თავიდან უარი მივიღე, თუმცა, საბედნიეროდ, ამან ჩემს მოტივაციაზე გავლენა ვერ იქონია.

ბოლოს ორი უნივერსიტეტიდან, (იაშის უნივერსიტეტი – რუმინეთი და იენის უნივერსიტეტი – გერმანია), ამავე უნივერსიტეტების გადაწყვეტილებით, მივიღე თანხმობა სტიპენდიაზე. გადაწყვეტილება იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტზე შევაჩერე მრავალი მიზეზის გამო: ინგლისურთან ერთად, მეორე უცხო ენად სკოლიდანვე ვსწავლობდი გერმანულს, ამიტომ იენაში სწავლა შესაძლებლობას მომცემდა ინგლისური პროგრამის ფარგლებში დამატებით გერმანული ენის კურსებიც ამეღო. ამასთანავე, ბაკალავრიატის პერიოდში ყოველ ზაფხულს სტუდენ-



ტური დასაქმების პროგრამაში ვიღებდი მონაწილეობას მიუნხენში ქართულ-გერმანული ცენტრიდან. ამის ფონზე იენის სტიპენდია ახდენილ ოცნება ჰგავდა, რადგან სკოლაში ჩასახული იდეა, გერმანიაში უმაღლესი განათლების მიღებაზე, რეალობად იქცა.

სწავლა გერმანიაში იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში, პოლიტიკის მეცნიერების ინგლისურენოვან პროგრამაზე გავაგრძელე. იენის პოლიტიკის სკოლა უძველესი და ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში, ამიტომ ძალიან ბედნიერი და ამაყი ვიყავი ამ შესაძლებლობით. თავიდან, როგორც ყოველთვის, შეგუების პროცესი რთული იყო, თუმცა მალევე გაიარა ამ ეტაპმაც. პირველი სემესტრი იენაში, ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში ვისწავლე, პროგრამის დასრულების შემდეგ, მასპინძელი უნივერსიტეტიდან მივიღე შემოთავაზება მეორე სემესტრის გაგრძელებასთან დაკავშირებით. რის შესაძლებლობასაც იენისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის არსებული ბილატერალური შეთანხმება იძლეოდა. ეს შანსიც გამოვიყენე და საბოლოო ჯამში, აკადემიური გამოცდილებასთან ერთად, გერმანული ენაც კარგად ვისწავლე“,- იხსენებს თეა.

როგორც თეა იხსენებს, თავიდან გერმანიაში სწავლის ეშინოდა, ეგონა რომ საერთაშორისო სტუდენტებთან ქართული განათლებით დაიჩაგრებოდა, თუმცა როგორც მალევე აღმოაჩინა, ყველაფერი პირიქით იყო.

„დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი სტუდენტები ერთ-ერთი საუკეთესოები იყვნენ იენაში სხვადასხვა საერთაშორისო ჯგუფებში, რაც ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის დამსახურებაა. ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის პერიოდში თსუ-ში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა იყო სხვადასხვა კურსებზე სამეცნიერო აკადემიური სტილის დაცვა ნაშრომის წერისას, რაც ძალიან დამეხმარა იენაში, სადაც ხშირად შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ამას ენიჭებოდა. აღნიშნული ერაზმუსის სტიპენდიაც თსუ-ს სტუდენტის სტატუსით მოვიპოვე, შესაბამისად, თსუ-ს ჩემს წარმატებაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს“,- აღნიშნავს თეა.

როგორც ჩვენთან საუბრისას იხსენებს, რეალური სირთულეები იმ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაიწყო, როცა გერმანულენოვან სრულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის მომზადება დაიწყო.

„პირველი რიგში, ნებისმიერ მსურველს, ვისაც გერმანულ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება სურს, სჭირდება გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი მინიმუმ C1. ამასთანავე გამოცდის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში შეუძლებელი იყო ვიზის მიღება, რადგან საიმიგრაციო სამსახური ვიზებს გამოცდის შედეგების მიხედვით გასცემდა. ყოველივე ეს საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოდგენდა ჩემთვის, თუმცა ბოლო სემესტრში ბევრი შრომის შედეგად შევძელი და ეს გამოცდაც წარმატებით ჩავაბარე. დღეს უკვე იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში გერმანულენოვან პოლიტიკის მეცნიერების სრულ სამაგისტრო პროგრამაზე ჩავირიცხე, რომლის ხანგრძლივობაც ორი წელია. აღნიშნულ პროგრამაზე მოხვედრა უცხოელი სტუდენტებისთვის საკმაოდ რთულია, რადგან იენის უნივერსიტეტს პოლიტიკის მიმართულებით ასევე აქვს ერთწლიანი პროგრამა მხოლოდ უცხოელი სტუდენტებისათვის, მაგრამ ვისაც პოლიტიკის მეცნიერების აკადემიურ დონეზე სწავლა და შემდგომი კვლევითი საქმიანობის გაგრძელება სურს გერმანიაში, ეს საკმარისი არ არის.

ბედნიერი ვარ, ამ ახალი შესაძლებლობისთვის და მინდა ვუთხრა სხვა მოტივირებულ სტუდენტებს, რომ შეუძლებელია არაფერია !!

სამომავლო გეგმები ...

ჯერჯერობით მხოლოდ ახალი სემესტრის მოლოდინში ვარ, მინდა ეს ახალი შესაძლებლობა ნაყოფიერად გამოვიყენო და რაც შეიძლება მეტი ახალი გამოცდილება დავაგროვო. დღეს გეგმებზე საუბარი მიჭირს, რადგან ყველაფერი სწრაფად იცვლება ცხოვრებაში, თუმცა რაც დანამდვილებით ვიცი ისაა, რომ ყოველთვის შევეცდები გავაგრძელო პროფესიული განვითარება, მიზნების დასახვა და რაც მთავარია მათი მიღწევა“, – ამბობს თეა.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge